ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 28
(მომსახურების გაწევის შესახებ)

ქალაქი გორი 15. 04. 2013 წ.

სსიპ გორის მუნიციპალიტეტი, III საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი"), დირექტორის ვახტანგ სუხიტაშვილის სახით, ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „გეო" (შემდგომში „მიმწოდებელი"), მისი დირექტორის გაბრიელ მაზმიშვილის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, საკუთარი წესდებებით მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას, შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

CPV კოდი 71343000

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს გორის მუნიციპალიტეტი, III საჯარო სკოლის ტერიტორიის საკადასტრო რუკის ელ. ვერსიის მომზადება.
2.1. „შემსყიდველი" უკვეთავს, ხოლო „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას განახორციელოს საპროექტო სამუშაოები.

2. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორების ფორმა და წესი.

2.1. გასაწევი მომსახურების ღირებულება შეადგენს 250 (ოას ორმოცდაათ) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
2.2. მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. „მიმწოდებელმა" უნდა უზრუნველყოს საპროექტო სამუშაოების განხორციელება არაუგვიანეს ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

4.1 <u>„შემსყიდველი" ვალდებულია:</u>

4.1.1 უზრუნველყოს მისთვის გაწეული მომსახურების შესაბამისი ანაზღაურების გადახდა მიმწოდებლისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით.
4.1.2. გაწეული მომსახურების შესახებ მხარეთა შორის დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება მომსახურების გაწევიდან არანაკლებ 10 (ათი) სამუშაო დღისა.

<u>4.2 „შემსყიდველი" უფლებამოსილია :</u>

4.2.1. „მიმწოდებლისგან" მოითხოვოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და განსაზღვრულ ვადაში.
4.2.2. „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება.
4.2.3. თვით ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით, დაუბრკოლებლივ განახორციელოს „მიმწოდებლის" მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმება.
4.2.4. „მიმწოდებლისგან" მოითხოვოს გაწეული მომსახურების შესახებ დადგენიული ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

<u>4.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია:</u>

4.3.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და ვადაში გასწიოს მაღალკვალიფიციური მომსახურება.
4.3.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „შემსყიდველს" წარუდგინოს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

4.3.3. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა, რომელიც გამოწვეულია გაწეული მომსახურებიდან.
4.3.4. გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს „შემსყიდველს" გაწეული მომსახურების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შემდეგაც ფორმდება დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტით.
4.3.5. დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ.
4.3.6. ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს „შემსყიდველს" შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

4.4. „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

4.4.1. „შემსყიდველისგან" მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

5. *ხელშეკრულების შესრულების კონტროლი*

5.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
5.2. ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი წარმომადგენელი ან სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი;
5.3. ინსპექტირება განხორციელდება პერიოდულად, წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.
5.2. „შემსყიდველი" უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;
5.4. „მიმწოდებელი" ვალდებულია მომსახურების განხორციელების დროს ინსპექტირების ჯგუფს შემოწმების პროცესში აღმოუჩინოს ხელშეწყობა, არ შეუქმნას ხელისშემშლელი პირობები და წარუდგინოს პროექტთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

6. *უფლებების გადაცემა*

6.1. მიმწოდებელს არ აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
7.2. შესყიდვის ობიექტის მიღების ადგილი განისაზღვრება მხარეთა შორის მიღწეული შეთანმხებით.
7.3. გაწეული მომსახურების (ან მისი ნაწილის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
7.4. გაწეული მომსახურების მოცულობის ან წუნდების მიზეზის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ ატყობინებს მიმწოდებელს წერილობით.

8. ფასები

8.1. ხელშეკრულებით ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დასაშვებია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

9. სუბკონტრაქტორები

9.1. მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულებიდან გამომდინარე გასაფორმებელი ყველა სუბკონტრაქტის შესახებ, რომელსაც თან უნდა დაერთოს დასადები ხელშეკრულების პროექტის ასლი.
9.2. ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10. შეტყობინება

10.1. ნებისმიერი შეტყობინება, მხარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად, გაეგზავნება მეორე მხარეს წერილობითი სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.
10.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2. იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდესხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

12. ფორს-მაჟორული სიტუაცია

12.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში.
12.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ.
12.3 მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავები გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. თუ სადაო საკითხებზე მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ შეთანხმებას, დავა გადაწყდება სასამართლო წესით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1 ხელშეკრულებითა და დამტკიცებული ვადების დარღვევისათვის მხარეები ჯარიმის სახით გადაიხდიან სახელშეკრულებო ღირებულების 0,03 პროცენტს, ყოველ გადაცილებულ დღეზე.
14.2. საჯარიმო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.
14.3. საჯარიმო თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

15. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

15.1. ხელშემკვრელი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.
15.2. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე მაინც, ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.
15.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
15.4. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების საბოლოო აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.

16. სხვა პირობები

16.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
16.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
16.3 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
16.4 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
16.5. „მიმწოდებლის" მიერ შესრულებული სამუშაოები ან მისი ეტაპი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ, მხარეთა შორის დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
16.6. ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.
16.7. ხელშეკრულება ძალაშია მისი მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან ექვსი თვის განმავლობაში.
16.8. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

17. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

სსიპ გორის მუნიციპალიტეტი, III საჯარო სკოლა
მისამართი : დიმიტრი ამილახვრის ქ. №26
საბანკო რეკვიზიტები:
ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია
გორის ფილიალი
კოდი: UGEBGE22
ა/ა № GE73RT0200000003443408
ს.კ. 217886928

დირექტორი
ვ. სუხიტაშვილი

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს. „ გეო "
მისამართი : ქ. გორი სამეფოს ქ. №70
საბანკო რეკვიზიტები:
ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია
გორის ფილიალი
კოდი: UGEBGE22
ა/ა № GE14VT0200000006233608
ს/კოდი 218036729

შ.პ.ს. „ გეო "ს დირექტორი
გ. მაზმიშვილი

საგადასახადო ანგარიშფაქტურა

დანართი NoIII-05
დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის
14.02.2005 წ. N84 წლის ბრძანებით

გადაგზავნილი

1	ეა-36 0499630

3	**აპრილი**	2013

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

4	17	**აპრილი**	2013

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

5	**გამყიდველი**

5.1	2	1	8	0	3	6	7	2	9		

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

5.2	**შპს გეო**

დასახელება (სახელი, გვარი)

6	**მყიდველი**

6.1	2	1	7	8	8	6	9	2	8		

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

6.2	**სსიპ ქალაქ გორის #3 საჯარო სკოლა**

დასახელება (სახელი, გვარი)

საქონლის (მომსახურების) დასახელება	ზომის ერთეული	მიწოდებული საქონლის რაოდენობა	საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით	მათ შორის	
				დღგ-ს თანხა	აქციზის თანხა
III საჯარო სკოლის ტერიტორიის საკადასტრო რუკის ელ.ვერსიის მომზადება 71243000	**სხვა**	0.00	250.00	38.14	0.00
		სულ	250	38.14	0

სასაქონლო ზედნადების No

თარიღი

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის

ხელმოწერა_____ბ.ა.

მყიდველს ჩაბარდა ხელზე

ხელმოწერა_____ბ.ა.

შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი

ქალაქი გორი 17. 04. 2013 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, სსიპ გორის მუნიციპალიტეტი, III საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი"), დირექტორის ვახტანგ სუხიტაშვილის სახით, ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „გეო" (შემდგომში „მიმწოდებელი"), მისი დირექტორის გაბრიელ მაზმიშვილის სახით, შემდგომში „მომწოდებელი" ვადასტურებთ, რომ 2013 წლის 15 აპრილს დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები:

- **გორის მუნიციპალიტეტი, III საჯარო სკოლის ტერიტორიის საკადასტრო რუკის ელ. ვერსიის მომზადება.**

„მომწოდებელმა" შეასრულა.

„შემსყიდველმა" მიიღო სამუშაო და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.

- **სამუშაოს ღირებულებაა: 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.**

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ გორის მუნიციპალიტეტი, III საჯარო სკოლა	შ.პ.ს. „ გეო "
მისამართი : დიმიტრი ამილახვრის ქ. №26	მისამართი : ქ. გორი სამეფოს ქ. №70
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია	ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია
გორის ფილიალი	გორის ფილიალი
კოდი: UGEBGE22	კოდი: UGEBGE22
ა/ა № GE73RT0200000003443408	ა/ა № GE14VT0200000006233608
ს.კ. 217886928	ს/კოდი 218036729
_____	_____
დირექტორი	შ.პ.ს. „ გეო "-ს დირექტორი
ვ. სუხიტაშვილი	გ. მაზმიშვილი